



მთავარი დღეს



2012-08-22 09:18:36

მწვანე ალტერნატივა: თბილისში მტვრის პრობლემა უკვე მედოკოსების შეფასების სფეროა

“იელის უნივერსიტეტის დასკვნა ქვეყნის ეკოლოგიურ ვითარებას ვერ ცვლის”

commersant.ge

ეკოლოგიურად სუფთა ქვეყნების მსოფლიო რეიტინგში საქართველოს საკმაოდ მაღალ, 47-ე ადგილზე მოხვედრა ხელსაყრელი ეკოლოგიური გარემოს არსებობას არ ნიშნავს და არც ამ დარგში მიღწეულ პროგრესზე მეტყველებს. ასე აფასებს არასამთავროგო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივას” თავმჯდომარე Environmental Performance Index-ში საქართველოს პოზიციას.

შეგახსენებთ: Environmental Performance Index-ში საქართველო რეგიონის ქვეყნებს შორის ლიდერია და 47-ე ადგილი უკავია. მას საგრძნობლად ჩამორჩება სომხეთი (93-ე პოზიცია) და აზერბაიჯანი (111-ე პოზიცია). რეიტინგის შემდგენლებმა, იელისა და კოლუმბიის უნივერსიტეტების ექსპერტებმა მსოფლიოს 132 ქვეყნის ეკოლოგიური ვითარება შეისწავლეს და ისინი ცხრილში 22 პარამეტრის მიხედვით განათავსეს. პარამეტრებს შორისაა წყლისა და ჰაერის ხარისხი, გარემოს გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, სათბური გაზების ემისია, ტყეების ფართობი და სხვა.

რამდენიმე თვის წინ, იგივე იელის უნივერსიტეტის მიერ გამოქვეყნებული რეიტინგის თანახმად, საქართველო, სომხეთთან ერთად, იმ ქვეყანათა ჯგუფში მოხვდა, რომლებსაც გასული ათწლეულის განმავლობაში გარემოს უსაფრთხოების გაძლიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ძალისხმევა არ გამოუჩნიათ.


“მწვანე ალტერნატივას” თავმჯდომარე მანანა ქოჩლაძე მიიჩნევს, რომ მართალია, “პროგრესის რეიტინგში” საქართველოს დაბალი მაჩვენებლები რეალურია, თუმცა ექსპერტი იელის უნივერსიტეტის კვლევების მეთოდებს არასადასტოვებლად მიიჩნევს. მისი თქმით, მსგავსი კვლევისას უამრავი კრიტერიუმია

გასათვალისწინებელი, ის მეთოდები კი, რომლითაც საქართველოში კვლევები ტარდება (სწორედ ამ სტატისტიკას ეყრდნობა აღნიშნული რეიტინგი), არ შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს.

“ჩვენ დეტალურ დონეზე, ყოველდღიურად უნდა ვიღებდეთ ინფორმაციას იმის შესახებ, რას ვჭამთ და რას ვსვამთ. გარემოს ეროვნული სააგენტო დედაქალაქში ჰაერზე დაკვირვებას 3 ჯიხურიდან, საცდელ რეჟიმში აწარმოებს, მაგრამ ეს ინფორმაციის დეტალურ მოწოდებას ვერ უზრუნველყოფს. სანამ დეტალიზებული სტატისტიკა არ გვექნება, იელის უნივერსიტეტის კვლევა ვერაფერს შეცვლის. ამ კვლევის მიუხედავად, თბილისის ისევ რჩება ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე დაბინძურებულ ქალაქად, და ამაზე მტვრის დონე და ჰაერის დაბინძურებაც მეტყველებს.” – ამბობს ქოჩლაძე. მისი თქმით, პრობლემას გარემოს სააგენტოშიც ადასტურებენ, თუმცა ისინი ამ მაჩვენებლებს საგანგაშოდ არ მიიჩნევენ. ამიტომ, ქოჩლაძის განცხადებით, შეფასება უკვე მედიკოსების საქმეა, “თუმცა ფაქტია, რომ ჰაერის დაბინძურების დონე აღემატება ევროპულ მაჩვენებელს.” – აცხადებს ნანა ქოჩლაძე.

გარემოს დაცვის სააგენტოს ექსპერტების განმარტებით თბილისში მაღალი და ექსტრემალურად მაღალი კონცენტრაციები არც ერთ დამაბინძურებელზე არ ფიქსირდება.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარის რუსიკო სიმონიძის თქმით კი, დღეს დედაქალაქში არ ხდება საწვავის ხარისხის შემოწმება, მანქანების ტექნიკური დათვალიერება და სხვა მთელი რიგი ფაქტორები გათვალისწინება, რაც თბილისის ჰაერის დაბინძურების მიზეზია. მისი ინფორმაციით, ამ თვალსაზრისით სავალალო მდგომარეობა საქართველოს სხვა რაიონებშიც, მათ შორის ჭიათურასა და ზესტაფონში, სადაც ქარხნები დამის განმავლობაშიც მუშაობენ და მოსახლეობას ჯანმრთელობის სერიოზული საფრთხე ემუქრება. ექსპერტი ამ რეგიონებში ჰაერის დაბინძურების



ქვეყნის სტუმარი



„საერთაშორისო ინვესტიციების საკოორდინაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი გიორგი სეთური იმე გამოაგზავნეთ შეკითხვა

გამოკითხვა

იგრძნო თუ არა ქართულმა ბიზნესმა ახალი ხელისუფლების მიერ მიცემული თავისუფლებისა და ბიზნესის ხელშეწყობის